შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N32060201/05/201-1

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" და შ.პ.ს "მ.გ.მ."-ს შორის 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N32060201/05/201 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

CMR160214106

ქ. თბილისი 09 თებერვალი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მ.გ.მ" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ვასილ მაქაცარიას სახით, მხარეთა შორის 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N32060201/05/201 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 12.1 პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-7[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" სამშენებლო-საპროექტო სამსახურის 2017 წლის 09 თებერვლის N116904 და N110661 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N 32060201/05/201 ხელშეკრულების საფუძველზე, შ.პ.ს. „მ.გ.მ" ახორციელებს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის დაზიანებული სახურავის მოწყობის სამუშაოებს, რომლის დასრულების ვადა განსაზღვრული იყო 2017 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

2017 წლის 1 თებერვალს შ.პ.ს. „მ გ მ"-მა სააგენტოს №86696 წერილით მომართა თხოვნით ვადის გაზრდის თაობაზე. ასევე წარმოდგენილია სკოლის დირექტორის N91577 წერილი, სადაც აღნიშნულია რომ თოვლისა და წვიმების გამო კომპანია ვერ ახორციელებს სამუშაოებს სრული დატვირთვით. ამ დროისათვის დასრულებულია სკოლის ძირითადი შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოები. დარჩენილია სპორტული დარბაზის სახურავის მოწყობის სამუშაოები.

სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და 2017 წლის 06 თებერვლის N14 სხდომის ოქმით მიზანშეწონილად მიიჩნია ბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის სახურავის მოწყობის სამუშაოების დასრულებისათვის მიმწოდებელს გაუგრძელდეს ვადა 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით, მიმდინარე წლის 7 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. შ.პ.ს. „მ.გ.მ"-ს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისათვის გაუგრძელდეს ვადა 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით, მიმდინარე წლის 7 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე.

2. მხარეთა შორის 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N32060201/05/201 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 4.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 64 კალენდარული დღე, 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით."

3. მხარეთა შორის 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N32060201/05/201 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების XI მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 23 აპრილის ჩათვლით".

4. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

5. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი შალუტაშვილი

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შ.პ.ს. „მ.გ.მ"-ს დირექტორის
მინდობილი პირი
ვასილ მაქაცარია

(ხელმოწერა, ბეჭედი)

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 8 17 00116904

09/02/2017

ვადის გაგრძელება შპს „მ გ მ " ზანათის საჯარო სკოლაზე

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელს ბატონ გიორგი შალუტაშვილს

სამსახურეობრივი ბარათი

ბატონო გიორგი,
როგორც თქვენთვის ცნობილია სააგენტოსთან გაფორმებული 2016 წლის 19 დეკემბერის №32060201/05/201 ხელშეკრულების საფუძველზე, შ.პ.ს. „მ გ მ" ანხორციელებს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლის დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 6 თებერვლის ჩათვლით.

2017 წლის 1 თებერვალს შ.პ.ს. „მ გ მ"-მა სააგენტოს №86696 წერილით აცნობა ვადის გაზრდის თაობაზე რომელსაც თან ერთვის სკოლის დირექტორის წერილი (N91577.) სადაც აღნიშნულია რომ თოვლისა და წვიმების გამო კომპანია ვერ ახორციელებს სრული დატვირთვით მუშაობას, ამ დროისათვის დასრულებულია სკოლის ძირითადი შენობის სახურავის მოწყობა, დარჩენილია სპორტული დარბაზის სახურავის მოწყობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა და გადაწყდა, ვინაიდან კომპანია შ.პ.ს. „მ გ მ" ახორციელებს გადაუდებელი აუცილებლობის სამუშაოებს , რასაც ხელს უშლის ამინდის გაუარესება, მიზანშეწონილია კომპანიას გადაუდებელი სამუშაოებიდან გამომდინარე გაუგრძელდეს სამუშაოების დასრულების ვადა 14 კალენდარული დღით საჯარიმო სანქციის გარეშე.

ამასთან გაცნობებთ რომ, N101904 სამსახურებრივ ბარათს არ მისცეთ მსვლელობა.

დანართი: ოქმი

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2
ცხელი ხაზი, ტელ/ Tel.:(+995)220 0 220 2023;
www.esida.ge E-mail: info@esida.ge

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /
სამშენებლო-საპროექტო სამსახური
სამსახურის უფროსი
მერაბ ჭონიაშვილი

საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტრო
აბაშის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი

MINISTRY OF EDUCATION AND
SCIENCE OF GEORGIA
ABASHA EDUCATIONAL
RESOURCE CENTER

MES 6 17 00091577

02/02/2017

საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების თარიღის გადავადების თაობაზე.

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი შალუტაშვილს

ბატონო გიორგი,
ქ.აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრი გიგზავნით სსიპ-აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ზანათის საჯარო სკოლის დირექტორის #88622 წერილს, საჯარო სკოლაში სარეაბილიტ აციო სამუშაოების დასრულების თარიღის გადავადების თაობაზე.
გთხოვთ განიხილოთ.

(იხ.საფუძველი)

პატივისცემით,

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი / ქალაქ აბაშის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
მერაბი მიგინეიშვილი



ადრესატები: **სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

0200 აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. #1 საიდენტიფიკაციო კოდი 222430750 ტელ:(0412) 29 12 18 abasha@mes.gov.ge
1 Ucha Kacharava Avenue, Abasha 0200 Inentification code: 222430750 Tel: (0412) 29 12 18 abasha@mes.gov.ge

MES 3 17 00088622

02/02/2017

შუამდგომლობა სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების თარიღის გადავადების თაობაზე

აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს
ბატონ მერაბ მიგინეიშვილს

ბატონო მერაბ;
სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს ძირითადი სასწავლო კორპუსისა და სპორტული დარბაზის სახურავის გამოცვლა. აღნიშნულ სამუშაოს ახორციელებს შპს ,,მგმ" მაქსიმალურად დატვირთული რეჟიმით.
თუმცა რესპუბლიკაში და მათ შორის ჩვენს რეგიონში არსებული ცუდი მეტეოროლოგიური პირობების, კერძოდ ძლიერი ყინვებისა და დიდთოვლობის გამო ზემოთხსენებული კომპანია ვერ ახერხებს სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებას განსაზღვრულ ვადაში.
გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, რათა გაითვალისწინონ აღნიშნული გარემოება და მოხდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების თარიღის გადავადება.

პატივისცემით
ზურაბ უჩანეიშვილი
სკოლის დირექტორი

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი / ქალაქ აბაშის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი / საჯარო სკოლები / აბაშის
მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლა
დირექტორი
ზურაბი უჩანეიშვილი

ადრესატები: **მიგინეიშვილი მერაბი (რესურსცენტრის უფროსი) სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრი**

საქართველო
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"მ ჯ მ"
ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას 26 T 558 548 948

GEORGIA
LTD "MGM"
ltd.mgm@gmail.com
Zugdidi, Zviad Gamsakhurdia 26, T 558 548 948

№ 1-02/17

1 თებერვალი 2017 წელი

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ გიორგი შალუტაშვილს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს "მგმ" ახორციელებს აბაშის მუნიციპალიტეტის ზანათის საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ხელშეკრულება №32.06.02.01/05/201, 19 დეკემბერი 2017 წელი, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 61550 ლარს.

2017 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით აღნიშნულ ობიექტზე ფაქტიურად შესრულებულია მთლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების დაახლოებით 60%. ღარჩენილი სამუშაოებისათვის საჭირო მასალები დასაწყობებულია ადგილზე.

უამინდობის გამო (დიდთოვლობა, ყინვა) დროებით შეჩერებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები და ობიექტის ჩაბარების თარიღი გაგვიგრძელდეს გონივრული ვადით..

შპს "მგმ"-ს დირექტორის
მინდობილი პირი
ვასილ მაქაცარია

MES 2 17 00110661

08/02/2017

კორექტირება-ციცვიძე-ოქმიN14 (2017)

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ გიორგი შალუტაშვილს

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გიორგი,

6 თებერვლის N103586 სამსახურეობრივ ბარათში მექანიკური შეცდომის გამო. კერძოდ ოქმი N6 -ის ნაცვლად აღნიშნულ ოქმს მიენიჭოს ოქმი N14-ის სტატუსი.

ამასთან, გთხოვთ N103586 და N101904 სამსახურეობრივ ბარათს არ მისცეთ მსვლელობა.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის მოადგილის თანაშემწე
თეა ლაცაბიძე

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირებასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N14

ქ. თბილისი, 6 თებერვალი 2017 წ.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:

1. თეიმურაზ მაჩაიძე - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის უფროსი;
2. მერაბ ჭონიაშვილი - სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;
3. დავით სუთიძე - სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსის მოადგილე , ჯგუფის წევრი;
4. დარეჯან გიგაური - სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსის მოადგილე , ჯგუფის წევრი;
5. დიმიტრი ჩარგეიშვილი -სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;
6. სპეციალისტი - განსახილველი საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნაში მონაწილე სააგენტოს თანამშრომელი (არქიტექტორი, ხარჯთაღმრიცხველი, კონსტრუქტორი და ა.შ)ჯგუფის წევრი;
7. თეა ლაცაბიძე - დირექტორის მოადგილის თანაშემწე, მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

თეიმურაზ მაჩაიძე, მერაბ ჭონიაშვილი, დავით სუთიძე, დარეჯან გიგაური, გიორგი ციცვიძე (მენეჯერი), თეა ლაცაბიძე (სხდომის მდივანი)

დღის წესრიგი:

სააგენტოსთან გაფორმებული 2016 წლის 19 დეკემბერის №32060201/05/201 ხელშეკრულების საფუძველზე, შ.პ.ს. „მგმ" ანხორციელებს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლის დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 6 თებერვლის ჩათვლით.

განხილული საკითხები:

გიორგი ციცვიძემ - განსახილველად წარმოადგინა საკითხი, კერძოდ:

2017 წლის 1 თებერვალს შ.პ.ს. „ მ გ მ "-მა სააგენტოს №86696 წერილით აცნობა ვადის გაზრდის თაობაზე რომელსაც თან ერთვის სკოლის დირექტორის წერილი (N91577.) სადაც აღნიშნულია რომ თოვლისა და წვიმების გამო კომპანია ვერ ახორციელებს სრული დატვირთვით მუშაობას, ამ დროისათვის დასრულებულია სკოლის ძირითადი შენობის სახურავის მოწყობა, დარჩენილია სპორტული დარბაზის სახურავის მოწყობა.

კომისიის წევრების გადაწყვეტილება:

კომისიამ იმსჯელა გიორგი ციცვიძის მიერ წარმოდგენილ საკითხზე და გადაწყდა, ვინაიდან კომპანია შ.პ.ს. „მ გ მ" ახორციელებს გადაუდებელი აუცილებლობის სამუშაოებს , რასაც ხელს უშლის ამინდის გაუარესება, მიზანშეწონილია კომპანიას გადაუდებელი სამუშაოებიდან გამომდინარე გაუგრძელდეს სამუშაოების დასრულების ვადა 14 კალენდარული დღით საჯარიმო სანქციის გარეშე.

1. თეიმურაზ მაჩაიძე
2. მერაბ ჭონიაშვილი
3. დავით სუთიძე
4. დარეჯან გიგაური
5. გიორგი ციცვიძე
6. თეა ლაცაბიძე სხდომის მდივანი

აქტი №1

(ობიექტი)
ზანათის საჯარო სკოლა

1 თებერვალი 2017 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის დირექტორი ზურაბ უჩანეიშვილი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ცეზარ მიმინოშვილი , მეორეს მხრივ, სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციია, შპს 'მგმ'-ს დირექტორის მ/შ ვასილ მაქაცარია და მთ. ინჟინერი კახა შონია, ხელს ვაწერთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ ზანათის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელშეკრულების გაფორმებიდან დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აბაშის რაიონში დეკემბერ-იანვრის თვეები იყო უხვნალექიანი (თოვლი, ყინვა), რამაც შეაფერხა სახურავის მოწყობის სამუშაოების წარმოება.

რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

1. ზანათის საჯარო სკოლის დირექტორი ზურაბ უჩანეიშვილი

2. ზანათის საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ცეზარ მიმინოშვილი

3. შპს 'მგმ'-ს დირექტორის მ/შ ვასილ მაქაცარია

4. შპს 'მგმ'-ს მთ. ინჟინერი კახა შონია